ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №20

2018 წლის 29 იანვარი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №475 განკარგულებით დამტკიცებული ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურების პროგრამაში" ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 63-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 22 იანვრის N01/523 მომართვის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N475 განკარგულებით დამტკიცებული ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურების პროგრამაში" თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30);

4. განკარგულება ამოქმედდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 იანვრის N03 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის ცვლილებების ძალაში შესვლისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის

მუნიციპალური პროგრამა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით

(ავტობუსებით) მომსახურების პროგრამა

1.პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი

დაწყება - 01/01/2018

დამთავრება – 31/12/2018

2.პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტია 219878 ლარი.

3.პროგრამის დაფინანსების წყარო

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

4.პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია.

5.პროგრამის განმახორციელებელი

შპს ,,ქობულეთის ტრანსრეგულირება"

6. პროგრამის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება

ზემოაღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურეობის გაუმჯობესებას, რაც გამოიხატება შემდეგში:

1.ხელმისაწვდომობა (საბაზრო ფასთან შედარებით შეღავათიანი ფასი).

2.მოსახლეობის უსაფრთხოდ და კომფორტულად გადაადგილება.

3.სხვადასხვა მიმართულებით ტრანსპორტის დამატებით მომსახურეობა.

ავტობუსები მოემსახურება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაბებში და სოფლებში, ქობულეთის და ბათუმის მიმართულებით.

აღნიშნული პრობლემის მოგვარება კი მეტად საჭირო და აუცილებელია ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის.

აღნიშნული პროგრამა დადებითად აისახება მოსახლეობის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ პრობლემაზე და ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

7. პროგრამის მიზნები

- ქობულეთის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლებისა და ქალაქის მოსახლეობისათვის უსაფრთხო, ხარისხიანი და კომფორტული გადაადგილების პირობების შექმნა.

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ეკონომიკური სოციალური დონის გაუმჯობესება.
- პროგრამით მოთხოვნილი თანხები გაიხარჯება იმ სამარშუტო ხაზებზე, რომლებზეც არსებობს მოსახლეობის მოთხოვნა და პროგრამის განმხორციელებელი შეათანხმებს ქობულეთის მუნიციპალიტეტს.

8. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორი

N	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორი
1	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ზემოაღნიშნულ სოფლებში და ქალაქის ტერიტორიაზე მგზავრთა გადაადგილების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებსა და ქალაქის ტერიტორიაზე მგზავრთა გადაადგილება დროულად და კომფორტულად

9. პროგრამის ფარგლებში გასაწევი ხარჯები

პროგრამის ფარგლებში გასაწევი ხარჯები შეადგენს:

219 878 (ორასცხრამეტი ათას რვაას სამოცდათვრამეტი) ლარს.

(ლარებში)

№	დასახელება	თანხა
ა	მუნიციპალური ავტობუსების მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯები 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში.	219 878

10. პროგრამის (ქვეპროგრამის) ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ავტობუსების მიმდინარე საექსპლუატაციო, ადმინისტრაციული და ზედნადები გეგმიური ხარჯების განაწილება თვეების მიხედვით

შენიშვნა: ცალკეულ თვეებში ფაქტიურად ამოღებული თანხებისა და გაწეული ხარჯების ცვლილებიდან გამომდინარე დასაშვებია თვის ლიმიტების შესაბამისი ცვლილებაც.

თვეები	თანხა
იანვარი	30270
თებერვალი	18027
მარტი	19166
აპრილი	18310
მაისი	16243
ივნისი	17624
ივლისი	18233
აგვისტო	17840
სექტემბერი	17608
ოქტომბერი	16685
ნოემბერი	14580
დეკემბერი	15292
სულ	**219 878**

11. ხარჯების ანაზღაურება განხორციელდება ყოველ მომდევნო თვის დასაწყისში წარმოდგენილი ფაქტიური დანახარჯებისა და ამ მიზნით მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით.

12. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შესყიდვები:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შესყიდვები განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

13. პროგრამის შემდგენი და განმახორციელებელი:

შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირება“.

14. პროგრამის განმახორციელებელი:

შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირება.“

შენიშვნა: პროგრამაში გათვალისწინებულია 2017 წლის დაუფინანსებელი ვალდებულებების დაფინანსება 9878 (ცხრა ათას რვაას სამოცდათვრამეტი) ლარის ოდენობით.